ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №365821

ნომერი: AR181568

თარიღი : 19.09.2012

გაცემის თარიღი : 03.10.2012

გაცნობის თარიღი : 03.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხოშარაული , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე ცაგურია პ/ნ 01008014283
- თბილისი, წყნეთის ქუჩა, კორპუსი 4, ბინა 25

ორგანიზაცია:

- შპს სანაპირო 2004 კოდი: 202218322

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მცირე სავაჭრო ცენტრი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი გიორგაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202218322
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "სანაპირო 2004"

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ივანე ცაგურია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008014283

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 29.05.2012
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 185962 (AR142170)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ფ/პ ივანე ცაგურიას 19.09.2012 წ №AR181568 ელექტრონული განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 29 მაისის №185962 ბრძანებაში, კერძოდ:
2.1. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 20 მაისიდან 2013 წლის 20 იანვრის ჩათვლით.“ და აღნიშნული აისახოს მშენებლობის სანებართვო მოწმობაში.
2.2. მე–4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. დაევალოს განმცხადებელს, წინამდებარე ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან (ძალაში შესვლიდან) 2013 წლის 20 იანვრამდე უზრუნველყოს სამსახურის 23.04.2010 წ №01/769 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირება მისაკუთვნებელი ნაკვეთების საზღვრებთან არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ან/და კორექტირებაზე უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ბრძანება ცნობილ იქნას ძალადაკარგულად“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 29 მაისის №185962 ბრძანებასთან და 2012 წლის 17 აგვისტოს №313689 ბრძანებასთან ერთად.
4. 19.09.2012 წ №AR181568 განცხადებით წარმოდგენილი (ატვირთული) დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.

• მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.